საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 31 13/04/2017

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის“ სოფელ ვერტყვიჭალის კლუბის შენობის მეორე სართულზე მდებარე 36.11 კვმ ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით არსებობის ვადით გადასაცემად
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაცეს უსასყიდლო უზურფრუქტის წესით, არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს“ სოფელ ვერტყვიჭალის კლუბის შენობის მეორე სართულზე მდებარე 36.11 კვმ ფართი (ს/კ 36.08.37. 182) ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1140
(ათასასორმოცი) ლარი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე